

სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა

2024 წელი

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფია საზოგადოებაში. ამის მიზეზი ბევრია, მათ შორის სოციალური იზოლაცია, შეზღუდული კომუნიკაციის შესაძლებლობები, საზოგადოებაში ინტეგრაციის სირთულეები, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა და სხვა.

„საქართველოს კონსტიტუციაში“ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო განსაკუთრებულ პირობებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათი ინტერესების მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

2020 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომელიც ეროვნულ დონეზე განსახორციელებელი ღონისძიებების გარდა, ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ დადგენილ ვალდებულებებსაც მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ რატიფიცირებულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და მისი ფაკულტატური ოქმი , რომლითაც განსაზღვრულია ქვეყნის ვალდებულებები საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული დოკუმენტით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2024 წლის სამოქმედო გეგმას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ.

ხედვა, მიზნები და ამოცანები

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხედვაა საქმიანობის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში, სრულყოფილი მონაწილეობის და სერვისებზე თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ბიუროს მიზანია:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის **ბიუროს სერვისებზე მაქსიმალური წვდომის უზრუნველყოფა;**
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის **ინკლუზიური, მეგობრული და ადაპტირებული გარემოს შექმნა;**
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მომსახურების გაუმჯობესება, **შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებებზე მორგებული მომსახურების გაწევის მიზნით.**

2024 წლის განმავლობაში ბიუროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

2024 წლის განმავლობაში, განხორციელდება სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის, შიდა ქართლის რეგიონული განყოფილების სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დამონტაჟდება პანდუსი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებაზე მორგებული სველი წერტილი.

> ***შედეგად**: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ადგილზე შეძლებს მიიღოს მისთვის საჭირო სრულფასოვანი მომსახურება.*
>
> *შენიშვნა: 2021, 2022, 2023 წლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ეტაპობრივად განხორციელდა ბიუროს თბილისის ცენტრალური ოფისის, კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის, სამედიცინო ექსპერტიზის და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტებში, დასავლეთ საქართველოს და აჭარის რეგიონულ ოფისებში, ასევე, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის კახეთის და რუსთავის რეგიონულ განყოფილებებში ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, დამონტაჟდა პანდუსი და შშმ პირთა საჭიროებაზე მორგებული სველი წერტილი.*

მიმდინარე წელს, ასევე დაიწყება ბიუროს ვებ გვერდის განახლება, რომელიც საბოლოოდ დასრულდება 2025 წელს და სრულად იქნება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

> ***შედეგად:** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, შეეძლება მიიღოს ინფორმაცია, როგორც ბიუროს საექსპერტო მიმართულებების, ასევე ტარიფების და ექსპერტიზის დანიშვნის პროცედურების თაობაზე.*

საანგარიშო პერიოდში დაიწყება და 2025 წელს გაგრძელდება, ბიუროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის და სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის ტრენინგი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების - კომუნიკაციის და ქცევის ეტიკეტის შესახებ;

> ***შედეგად:** შეზღუდული შესაძლებლოებების მქონე პირი, მიიღებს მის საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებას.*

2024 - 2025 წლებში განხორციელდება სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტებისთვის ტრენინგი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ სპეციფიკური მიდგომისა და მათი საჭიროებების შესწავლის/შეფასების სტანდარტის და მეთოდიკის შესახებ.

> ***შედეგად:** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი მიიღებს მის საჭიროებებზე მორგებულ სერვისს სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით.*

ქალაქ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ბიუროს შენობების მიმდებარედ მოეწყობა შესაბამისი სტანდარტის საპარკინგე სივრცე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

შედეგად: *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის გამარტივდება ბიუროში მოსვლა და მისთვის საჭირო მომსახურების მიღება.*

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ბიუროს ხელმძღვანელის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში ბიუროს ხელმძღვანელს განსახილველად და შესაბამისი ბრძანებით დასამტკიცებლად წარუდგენს განხორციელებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს და მიმდინარე წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლელების შესახებ სამოქმედო გეგმას.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ბიურო აქტიურად თანამშრომლობს შშმ პირების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დაგეგმილი ღონისძიებების შეფასების, რეკომენდაციების და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.